41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ყაზბეგელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ყაზბეგის მერობის კანდიდატისა და ყაზბეგის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ყაზბეგის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ყაზბეგი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს ყაზბეგის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 3,8 მილიონი ლარი იყო, 2021 წლის გეგმით, 19,3 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2,5 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 7,9 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი“** (ინვესტიცია 976 329 ლარი, თანამონაწილეობა 585 798 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (148 185 ლარი, თანამონაწილეობა 59 274 ლარი). **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 16 კოოპერატივი (116 მეპაიე, კაპიტალი 206 150 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 22-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 1 312 706 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 289 908 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **სოფლის განვითარების პროგრამა** და, 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 3 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 3 ხელშეკრულება (ჯამურად 420 202 ლარი, თანადაფინანსებაა 219 000 ლარი).

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 3 საწარმო (ჯამურად 38 809 576 ლარი, დასაქმებულია 121 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 14 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 54 110 136, დასაქმდა 456 ადამიანი, ყაზბეგს 417 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 637 403 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 857 856 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 79 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 42, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 37 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აშენდა 7 ჰიდროელექტროსადგური** (არაგვიჰესი, ლარსიჰესი, ყაზბეგიჰესი, დარიალჰესი, საგურამოჰესი, ბოდორნაჰესი, არაგვიჰესი 2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 152 მგვტ-ია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 172 მილიონი აშშ დოლარი.

მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა ექვსი ჰიდროელექტროსადგური:

- ნაროვანჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0.6 მგვტ, 1,127 მლნ აშშ დოლარი;
- უძილაურთა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,48 მგვტ, 11,330 მლნ აშშ დოლარი;
- როშკაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.9 მგვტ, 3,13 მლნ აშშ დოლარი.
- როშკა 1 – დადგმ. სიმძლავრე 1.03 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- როშკა 2 – დადგმ. სიმძლავრე 1.99 მგვტ, 1.5 მლნ აშშ დოლარი;
- როშკა3 – დადგმ. სიმძლავრე 1 მგვტ, 0,9 მლნ აშშ დოლარი.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა:

- ძეგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 15,7 მგვტ, 26,7 მლნ აშშ დოლარი;
- კამარაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,2 მგვტ, 37,8 მლნ აშშ დოლარი;
- მლეთაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 4,88 მგვტ, 4 მლნ აშშ დოლარი;
- ქვეშეთიჰესი– დადგმ. სიმძლავრე 10,3 მგვტ, 11 მლნ აშშ დოლარი;
- ბარისახოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,5 მგვტ, 12,1 მლნ აშშ დოლარი;
- მენესოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,2 მგვტ, 15,49 მლნ აშშ დოლარი;
- ხადა1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 2.6 მგვტ, 5,36 მლნ აშშ დოლარი;
- ხადა2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.1 მგვტ, 2.84 მლნ აშშ დოლარი;
- შავი არაგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 5,3 მგვტ, 7,968 მლნ აშშ დოლარი;
- შავი არაგვი1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 5,2 მლნ აშშ დოლარი.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015 წლიდან ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

გუდაურსა და სტეფანწმინდაში განხორციელდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციების მონტაჟი, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილე-

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

სტეფანწმინდის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია

ბის შესახებ; გუდაურში დამონტაჟდა სასურათე ჩარჩო.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი პროექტები: გაკეთდა სოფელ გერგეტის შემოვლითი გზა; ნატახტარი-ლარსის ჩქაროსნული გზატკეცილი; ქვეშეთი-კობის გვირაბი; გუდაური-კობის დამაკავშირებელი საბაგირო გზა; გუდაურის გადასახედი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხეობებში მოეწყო ახალი საფეხმავლო ტურისტული მარშრუტები და ბილიკები; დასრულდა გუდაურის ე.წ. გადმოსახედის მეორე ეტაპი; სამების მონასტრის მისასვლელი გზა; მოეწყო სამებაზე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი.

2016-2018 წლებში, აშენდა ყაზბეგის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის შენობა (1 157 000 ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ამ ეტაპზე მზადდება ტყის მართვის გეგმა. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 38 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. 2019 წელს საბერწეზე დამონტაჟდა და გაიმართა მაღალმთიანი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, რომლის დაკვირვების მონაცემები ჩაერთო მონაცემთა გავრცელების მსოფლიო ქსელში, რაც ხელს უწყობს ამინდის პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სააგენტო წელიწადში ოთხჯერ ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორულ გაზომვებს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; დევდორაკი-ამალის ხეობაში 2016 წლიდან გამართულად ფუნქციონირებს ადრეული გაფრთხილების (განგაშის) თანამედროვე სისტემა.

ქვეშეთი-კობის მაგისტრალური გზისა და 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობის ფარგლებში, გვირაბის გასაჭრელად სპეციალურად დამზადებული TBM (Tunnel Boring Machine) დანადგარი

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ყაზბეგში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 12 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 4 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს.

2014-2020 წლებში, ყაზბეგის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 20 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი პროექტები:

- სოფელ გუდაურში, სასმელ-სამეურნეო ჭაბურღილის მოწყობის პროექტირება/მშენებლობის სამუშაოები – 960 000 ლ;
- სოფელ გუდაურში, ბიდარას სათავე-ნაგებობიდან თვითდენითი მილდენის მოწყობის პროექტირება/ მშენებლობა – 400 595 ლ;
- სოფ. გერგეტის წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 48 500 ლ.

2021-2022 წლებისთვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. გერგეტი, ქეთევან წამებულის ქუჩის რეაბილიტაცია – 166 188 ლ;
- სოფ. გერგეტი, დავით გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია – 358 550 ლ;
- სოფ. გერგეტი, ხევისბერის ქუჩის რეაბილიტაცია – 432 478 ლ;
- დაბა სტეფანწმინდა, ვახტანგ გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია – 213 046 ლ;
- სოფ. აცხოტი, საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 2 748 986 ლ;
- აღმაშენებელის ქუჩის რეაბილიტაცია – 550 000 ლ;
- სტეფანწმინდის და ქეთევან წამებულის ქუჩების რეაბილიტაცია – 1 379 999 ლ;
- სოფ. ხურთისის საავტომობილო შიდაგზების რეაბილიტაცია – 1 949 756 ლ;
- სოფ. არშის საავტომობილო შიდაგზების რეაბილიტაცია – 1 793 363 ლ;
- სოფ. გარბნის საავტომობილო შიდაგზების რეაბილიტაცია – 1 999 833 ლ;
- პროგრამით „განახლებული რეგიონები“, დაბა სტეფანწმინდის ცენტრალური უბნის რესტავრაცია/რეაბილიტაციის სამუშაოები – 6 500 000 ლ;
- სტეფანწმინდაში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის” შენობის მშენებლობა – 280 000 ლ;
- მცხეთა მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე, აქტიურ ფაზაშია ქვეშეთი-კობის საერთაშორისო მნიშვნელობის 23 კმ-იანი გზის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის ს/გზაზე გვირაბისა და გზის მშენებლობა. პროექტების ჯამური ინვესტიცია 1,3 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმით, 2024 წლამდე, ეტაპობრივად იგეგმება სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება;
- დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27-კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა.

გუდაური-კობის დამაკავშირებელი საბაგირო "თრუსო"

ᲑᲐᲙᲣᲠ ᲐᲕᲡᲐᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲮᲔᲕᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲐᲚᲬᲔᲕ“

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲑᲐᲙᲣᲠ ᲐᲕᲡᲐᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲐᲐ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ – ᲐᲥ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲡ, ᲡᲣᲠᲡ, ᲮᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ „ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲠᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ, ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ.

„ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘᲗ, ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ“, – ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲛᲝᲮᲔᲕᲣᲠ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ“ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ:

დაიბადა 1978 წლის პირველ იანვარს, ყაზბეგის სოფელ არშაში.

1983-1994 წლებში სწავლობდა სოფელ არშის საშუალო სკოლაში; 1996-2005 წლებში – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობის ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს, საჯარო სამსახურებში დასაქმებული იყო შემდეგ პოზიციებზე:

2001-2004 წლებში – ინსპექტორი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციაში;

2012-2020 წლებში – შსს ყაზბეგის რაიონული სამმართველოს უფროსი;

2020 წლიდან დღემდე არის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

– ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ არშაში დავიბადე. დედა, ეთერ საბაური, პენსიონერია. დამსახურებული ექიმია და მთელი ცხოვრება ყაზბეგში, პროფესიით მუშაობდა. მამა, იაგო ავსაჯანიშვილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდა, მატყლის დამამზადებელიც იყო და 2004 წლამდე „ყაზბეგიგაზის“ უფროსიც გახლდათ. სამწუხაროდ, მამა 2018 წელს გარდაიცვალა, რაც ჩვენი ოჯახის დიდი ტრაგედიაა. ოთხი დედმამიშვილი ვართ. 2 და და ორი ძმა. უფროსი ძმა კობა ავსაჯანიშვილი ამჟამად თბილისში ცხოვრობს. ერთი და, ქეთევანი სასწრაფოს ექიმია, ხათუნა კი, ფილოლოგია და საზღვარგარეთ ცხოვრობს. სკოლა ყაზბეგში დავამთავრე. ჩემს სოფელთან ყველაზე ტკბილი მოგონებები მაკავშირებს. შემიძლია ვთქვა, რომ ყაზბეგის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. გარკვეული პერიოდი თბილისშიც ვცხოვრობდი, მაგრამ ყაზბეგში ხშირად ჩამოვდიოდი. აქედან სამუდამოდ სადმე წასვლაზე კი, არასდროს მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებისა და დამკვიდრების შანსიც მქონდა. გეფიცებით, ყაზბეგის გარეშე ვერ გავძლებ. აქ დავიბადე და გავიზარდე. სკოლაც აქ დავამთავრე. კარგი მოსწავლე ვიყავი. განსაკუთრებით კი, ისტორია მაინტერესებდა, რაც ალბათ მასწავლებლის დამსახურება იყო.

– ექიმ დედას არ უნდოდა, რომ ექიმი გამოსულიყავით?

– არა, იგრძნო, რომ ეს არ იყო ჩემი მოწოდება, ამიტომ არასდროს ურჩევია, სამედიცინოზე ჩამებარებინა. დედის კვალს ჩემი და გაყვა. სკოლა ისეთ დროს დავამთავრე, ქვეყანაში არეულობა რომ იყო. პირველ წელს უმაღლეს სასწავლებელში საბუთები არ შევიტანე, 1996 წელს კი, საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტზე ჩავაბარე. სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოვიხადე. სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მინდოდა პოლიციელობა. ეს საქმე ჩემთვის ადამიანის უფლების დაცვასთან, სამართლიანობასთან ასოცირდებოდა. 2001 წელს პროფესიით დავიწყე მუშაობა პოლიციაში, საგზაო ინსპექტორად, მაგრამ 2003 წლის ბოლოს სამსახურიდან წამოვედი,

– 2003 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. სამსახურიდან წამოსვლის გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

– იმიტომ, რომ 78 ლარი მქონდა ხელფასი. ამ თანხით რა უნდა გამეკეთებინა? ჩემი შრომა დაუფასებელი იყო და სამსახურიდან წამოსვლა გადავწყვიტე. წლების მერე, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურიდანაც მქონდა შემოთავაზება, პატრულიდანაც, მაგრამ არ წავედი. ქვეყანაში უკვე ისეთი ვითარება იყო, პროტესტი ბევრი რამის მიმართ მიჩნდებოდა და მეგობრებს, რომლებიც სამსახურს მთავაზობდნენ, ვეუბნებოდი, მაგ სისტემაში მუშაობა არ შემიძლია-მეთქი. დავბრუნდი მშობლიურ ყაზბეგში და კერძო საქმიანობა დავიწყე. 2006 წელს გზა რომ ჩაიკეტა, ყაზბეგი ნამდვილი ჩიხი გახდა, აღარც ტურისტი იყო. მაშინ ბევრი ყაზბეგელი გახდა იძულებული, დედაქალაქში წასულიყო ლუკმა პურის ფულის საშოვნებად. მათ რიგებში მეც ვიყავი – დროებით თბილისში გადავედი და ისევ კერძო სექტორში ვიყავი.

– პოლიტიკურად რატომ გააქტიურდით, გასაგებია, მაგრამ „პოლიტიკური ბედი“ მაინცდამაინც „ქართულ ოცნებას“ რატომ დაუკავშირეთ?

– 2003 წლიდან მოყოლებული, წინა ხელისუფლების მიმართ, მუდმივად ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლაზე არ მიფიქრია. 2011 წელს კი, გამოჩნდა ახალი გუნდი, ახალი შემართებით და სურვილით, ქვეყანაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვლილიყო. მეც, პირველივე დღიდან ამ გუნდის გვერდით დავდექი. მას შემდეგ, ყველა ბრძოლა ერთად გავიარეთ.

– 2012 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობთ. ამ პერიოდში ქვეყანაში არაერთი არჩევნები ჩატარდა. შეგიძლიათ თამამად თქვათ, რომ დღეს პოლიცია დეპოლიტიზირებულია?

– 2012 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მცხეთა-მთიანეთის დეპარტამენტის, ყაზბეგის სამმართველოს უფროსად დავინიშნე. ბოლო 1 წელია ქვემო ქართლის სამმართველოში გადმოვედი. პატაკი, სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე, უკვე დავწერე. სამინისტროში, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ვითარება საგრძნობლად შეცვლილია. ამ 8 წლის განმავლობაში სამმართველოს უფროსი ვარ და ერთხელ არ ყოფილა ვინმეს დაკავების ან რაიმე სხვა ტიპის დავალება. დიახ, პოლიცია დღეს დეპოლიტიზირებულიცაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი არჩევნების დროს, არ მიმიღია ხელმძღვანელობისგან დავალება, რომ რაიმე ფორმით ჩავრთულიყავით არჩევნებში. მხოლოდ ჩვენი, კანონით მონიჭებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე ვართ ორიენტირებულები.

– ასეთივე საგრძნობი ცვლილებაა კერძო სექტორშიც? როგორი ბიზნესგარემოა დღეს ქვეყანაში და კერძო მეწარმეებს ხელისუფლების ხელშეწყობა თუ აქვთ?

– ვითარება ამ მხრივაც მკვეთრად შეცვლილია. წინა ხელისუფლების დროს გაცდიდნენ, როდის განავითარებდი ბიზნესს, რაღაც ეტაპამდე მიხვიდოდი და მერე, ერთ დღეს, შეეძლოთ წაერთმიათ. ჩემ გარშემო ბევრს დაემართა ასე. დღეს ბიზნესი თავისუფალია და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობაცაა.

– განსაკუთრებული ხელშეწყობაა ბიზნესმენებისთვის მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში. „მთის კანონის“ მიღებისა და შეღავათების დაწესების შემდეგ, ყაზბეგში კერძო საქმიანობა ბევრმა დაიწყო?

– ბიზნესის დაწყების მსურველები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობენ და ყაზბეგშიც, არაერთმა ადამიანმა დაიწყო საქმიანობა. მუნიციპალიტეტში დედაქალაქში ლუკმა პურის ფულის საშოვნელად წასული ადგილობრივები დაბრუნდნენ. სოფლები ნელ-ნელა ივსება. მთავრობის მხარდაჭერით გაკეთდა პატარ-პატარა ფერმები. ბევრმა ისარგებლა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით. პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში აშენდა რძის, კობის წყლის საწარმოები. მუნიციპალიტეტში ბევრია თვითდასაქმებული ან კერძო სექტორში დასაქმებული. ეს ძალიან კარგია, რადგან აქამდე უმეტესად დასაქმების ერთადერთი წყარო იყო საჯარო სამსახური. ბევრმა გახსნა საოჯახო ტიპის სასტუმრო. მართალია, პანდემიამ ტურიზმს, მსოფლიო მასშტაბით დარტყმა მიაყენა და გამონაკლისი არც ყაზბეგი იყო, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება გამოსწორდება. მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში უკვე ბევრი ვიზიტორი იყო. განვითარდა შიდა ტურიზმიც. ზოგადად, ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება და ამ მხრივ ყაზბეგში ნამდვილად დიდი სიახლეები გვაქვს.

– რომელი ინფრასტრუქტურული პროექტებია ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგადად, ამ მიმართულებით

რა შეიცვალა კონკრეტულად ყაზბეგში „ქართული ოცნების“ პირობებში?

– 2012 წლის შემდეგ ყაზბეგში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ყაზბეგი კომუნისტების დროს, ერთი პერიოდი იყო ძლიერი, როცა მეცხოველეობა განვითარდა. მას შემდეგ იყო სრული უძრაობა. რაც თავი მახსოვს, ყაზბეგს ხელისუფლებისგან ასეთი ყურადღება და მხარდაჭერა არ ჰქონია. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. გაკეთდა ყაზბეგი-თბილისის გზა. გზა ისეთ სოფლებში შევიდა, წარმოდგენაც რომ არ შეგვეძლო. მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უკვე გაზიფიცირებულია. ეს მთის ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია; მათთვის ასევე ნამდვილი შვებაა გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადზე დაწესებული შეღავათები, რომელთაც მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებს ხელისუფლება სთავაზობს. ბევრ სოფელში გამოიცვალა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები. მიმდინარეობს კობი-ქვეშეთის გვირაბის მშენებლობა. ეს პროექტი გადამზიდავი კომპანიებისთვისაც მნიშვნელოვანია. უამრავი სატვირთო მანქანა ჩერდება აქ და გვირაბი ამ პრობლემასაც მოხსნის. მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეაბილიტირდა საგანმანათლებლო დაწესებულებები. გუდაურში კი, თანამედროვე სტანდარტის, 32 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. ასევე მასშტაბურია კობის საბაგიროს პროექტი. გუდაურში რამდენიმე ტრასა დაემატა. მერმა, ალექსანდრე ზაგაშვილმა ყველაფერი გააკეთა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. თბილისში გაზრდილმა, რომელიც ზაფხულობით სტუმრობდა მშობლიურ ყაზბეგს, იმას მიაღწია, რომ მიდის დიდი პლუსებით და ხალხის სიყვარული დაიმსახურა. საკუთარ თავს იგივეს ვუსურვებ – 8 წელი პოლიციაში ვიყავი და ცუდი სახელი არ დამიტოვებია. მინდა 4 წლის მერე, მერის თანამდებობიდანაც ასე წავიდე და თამამად ვთქვა, რომ ყაზბეგის განვითარებაში წვლილი შევიტანე.

– რა უნდა გააკეთოთ ამისთვის? რა სჭირდება დღეს ყაზბეგის მოსახლეობას და თქვენ რა გეგმები გაქვთ?

- მოხევე ვარ, ყაზბეგში დაბადებულ-გაზრდილი და კარგად ვიცი, ყაზბეგი რა გამოწვევების წინაშე დგას. სულ აქ, ჩემ საყვარელ მუნიციპალიტეტში ვტრიალებ, ადგილობრივებს ვხვდები და არ გამიჭირდება შევიგრძნო, რა სჭირდება სოფელს. პირველ რიგში, ჩემი პრიორიტეტი იქნება დაწყებული მნიშვნელოვანი პროექტების დასრულება. წყალმომარაგების საკითხი ყველა სოფელში უნდა მოგვარდეს და მთელ მუნიციპალიტეტს 24-საათიანი წყალმომარაგება უნდა ქონდეს. ასევე უნდა მოწესრიგდეს საკანალიზაციო სისტემა. ეს მოხევეების ერთ-ერთი მთავარი საჭიროება და მოთხოვნაა. ასევე, ბოლომდე უნდა მოწესრიგდეს საგზაო ინფრასტრუქტურა. სივრცითი დაგეგმარების საკითხი და ყაზბეგის ურბანული განვითარების ხელშეწყობა ჩემთვის პრიორიტეტია და ეს მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის სწორად განაშენიანებისთვის. მინდა ტურიზმი ისე განვავითაროთ, რომ აქ ვიზიტორები 1-2 დღით კი არ ამოვიდნენ, დიდხანს დასვენების სურვილი გაუჩნდეთ და ამისთვის ყველა პირობა ჰქონდეთ. ყურადღებას მივაქცევ სოციალურ თემატიკას. ვიცი, რომ მერია ეხმარებოდა მრავალშვილიანი ოჯახების ან ობოლ სტუდენტებს, მოქალაქეებს ოპერაციებს და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებას უფინანსებდა... სოციალური პროგრამები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ყაზბეგი სასაზღვრო მუნიციპალიტეტია. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მის სპეციფიკას კარგად ვიცნობ და ვფიქრობ მერისთვის ესეც აუცილებელია. მიხარია, რომ ჩვენი საავადმყოფოს რეაბილიტაცია გადაწყვეტილია, კლინიკა სამედიცინო კუთხითაც განახლდება და შეძლებს, ადგილზე გაუწიოს მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურება. ასევე, ძალიან მინდა, რომ მუნიციპალიტეტს ჰყავდეს ერთი გადაუდებელი დახმარების მანქანა მაინც, რომ საჭიროების შემთხვევაში, თბილისიდან მომავალ მანქანას 2-3 საათი აღარ ველოდოთ.

– ბატონო ბაკურ, ბავშვობაში ჭიდაობით იყავით დაინტერესებული. ყაზბეგში სპორტული ინფრასტრუქტურაც ვითარდება?

– დაბაში საუკეთესო სპორტული დარბაზი გაკეთდა. კეთდება რაგბის დარბაზი. არშაში, კერძო პატარა დარბაზში გამოზრდილი სპორტსმენებიდან, საქართველოს ნაკრებში 5 მოხევე მოჭიდავე მოხვდა. ზოგადად, ყაზბეგმა ბევრი წარმატებული სპორტსმენი გამოზარდა, მათ შორის, დავით მარსაგიშვილი, რომელიც ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. არშელების მოთხოვნაა, როგორმე სოფელში კარგი საჭიდაო დარბაზი გაიხსნას. მაქსიმალურად დავეხმარები მათ ამაში.

– ისე საუბრობთ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?

– დიახ, ხალხის მხარდაჭერას ვგრძნობ. როცა შემოთავაზება მივიღე, ჩემს ბევრ ნაცნობთან გავიარე, აზრი ვიკითხე. მათი განწყობიდან გამომდინარე, დავრწმუნდი, რომ არჩევნებში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიმეღო. მინდა ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ბევრი რამ გავაკეთო. მინდა, ყაზბეგი იყოს უაღრესად განათლებული ახალგაზრდებით დასახლებული მუნიციპალიტეტი, საიდან წასვლაც არავის მოუნდება. მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილს აუცილებლად შევიტან და ყაზბეგელებს, თავს აუცილებლად დავამახსოვრებ, როგორც „საუკეთესო მერი“. მინდა ხევი იყოს ყველაზე გამორჩეული და ჩემს გუნდთან, ჩემს ყაზბეგელებთან ერთად, ამას აუცილებლად შევძლებ!

ᲑᲐᲙᲣᲠ ᲐᲕᲡᲐᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐ „ᲛᲐᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ“

ხევზე უზომოდ შეყვარებულმა ბაკურ ავსაჯანიშვილმა მომავალი მეუღლე ყაზბეგში გაიცნო. იქ, სადაც, როგორც თავად ამბობს „ყველა ყველას იცნობს“. მარიამ ჩოფიკაშვილიც მოხევეა. პროფესიით ფარმაცევტი გახლავთ და ადრე ერთ-ერთ აფთიაქში მუშაობდა, მაგრამ დღეს საოჯახო საქმეებს უძღვება. როცა ვთხოვე მოეყოლა, როგორ გაიცნო მეუღლე, „მთის კაცის“ დამახასიათებელი ჩაღიმებით, მოკლედ მიპასუხა – გავიცანი და მომეწონაო. მივხვდი, პირადზე საუბარი არ ხიბლავს.

სამაგიეროდ იმ ორ ქალბატონზე საუბარი მოსწონს, ვინც მამის ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ამბობს, რომ 5 წლის ქეთევანი და 2 წლის ხატია „მამიკოს გოგონები“ არიან.

ხატია ჯერ პატარაა. სოფელში, ეზოში დაბაჯბაჯებს და ძალიან მხიარულია, როცა მათთან უბნის ბავშვები შეიკრიბებიან ხოლმე. უფროსი ქეთევანი კი, ძალიან აქტიური და ნიჭიერია. იცის ბევრი ლექსი. განსაკუთრებით უყვარს მუსიკა და ყველა ქართული სიმღერა იცის. უყვარს ცხენებიც. როგორც კი დაინახავს, გარბის და სურს შეახტეს. ცხენზე ჯდომაც იცის, წონასწორობასაც კარგად ინარჩუნებს. კანდიდატი გამოგვიტყდა, ცხენები ისე უყვარს, არ არის არის გამორიცხული, მომავალ წელს, დოღშიც კი მიიღოს მონაწილეობაო.

როცა თავისუფალი დრო აქვს, ვარჯიშობს. ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს. მისი ჰობი ადამიანების დახმარებაა. ამბობს, რომ ეს განსაკუთრებით სიამოვნებს.

თუმცა, კმაყოფილების პიკს მაშინ აღწევს, როცა მამიკოს გოგონების გარემოცვაშია. ამ დროს მოხევე მამიკო უჩვეულოდ თბილი, მხიარული და გალაღებულია. ეს იმ ორი ადამიანის დამსახურებაა, ვის გამოც ცხოვრება უხარია. ვის გამოც, უფრო მეტი პასუხისმგებლობით სურს, ყაზბეგში „საუკეთესო მერის“ ტიტული მოიპოვოს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე**, გამოყოფილია 7 191 266 ლარი, დაფინანსდა 10 087 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (116 439,5 ლარით 10 154 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (341 978 ლარით 4 924 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (4 505 326 ლარით 2 591 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (1 344 613 ლარით 1 238 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (299 614 ლარით 509 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (349 562 ლარით 618 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ყაზბეგის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 277 ბენეფიციარი (19 515 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ყაზბეგში 82%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ყაზბეგში,** სტაციონარული მკურნალობით 30-მა (58 482 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 127-მა პაციენტმა (17 397 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ყაზბეგში** ანტენატალური სერვისი მიიღო 795-მა (დაფინანსება 41 424 ლ), მედიკამენტები – 171-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 170 პირი (30 537 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **ყაზბეგის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ყაზბეგში, 2013-2021 წლებში სულ 138 შემთხვევა 168 827 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ყაზბეგის მუნიციპალიტეტს 8 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება –** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 90,7 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. 37,7 ათასი ლ).

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში სიონი (14 300), სნო (3 600), გორისციხე (5 890), დაბა სტეფანწმინდაში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა – 280 749 ლარი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამა, როგორიცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა, რაც მოიცავს ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგს, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად, იმუნიზაციას და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ყაზბეგის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები 1014 პირია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,4-ჯერ – 1 173 652-დან 2 759 460 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 17 080 378 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ყაზბეგში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 20 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,2-ჯერ – 37 650-დან 83 227 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 506 318 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ყაზბეგის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 342 ოჯახია (01.04. 2021 მდგომ.). 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 5 113 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2 078 ათასი, შშმ პირებზე – 244 ათასი, ბავშვებზე – 1 310 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ყაზბეგში**,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 128 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 36 761-დან 215 742 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 452 505 ლარი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 1 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2013-2021 წ.წ. სულ დაიხარჯა 4 095 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ყაზბეგში დაკმაყოფილდა 1 ოჯახი. პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 1 დევნილ ოჯახს შეუსყიდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ყაზბეგში, დაფინანსებულია 67 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 677 950 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 141 400 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე – 1 897 815 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს – ყაზბეგშში, ჩართული იყო 1 093 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 1 180. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წ. ისარგებლა 270-მა ოჯახმა, 2021 წ. – 287-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ყაზბეგში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 245 პირი, 2021 წ. – 257 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (**6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, თითქმის **9-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 500,8 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. იყო – 57,0 ათასი ლ).

ყაზბეგის **მუნიციპალიტეტი ახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას**, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების პროგრამას, რომელიც მოიცავს ავადმყოფთა სოციალური დაცვას, შშმ პირთა სოციალური დაცვას, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვას, უპატრონო მიცვალებულებისა და ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება დაუბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დაცვას.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორციელდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

დაბა გუდაურის ახალაშენებული საბავშვო ბაღი

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განახორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ყაზბეგში ფუნქციონირებს სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი (9 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 1 – დაბა სტეფანწმინდაში, 1 – დაბა გუდაურში, ხოლო 8 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყაზბეგში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **2 მლნ** ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 236,5 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში – რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს სტეფანწმინდაში, გერგეტში, გორისციხესა და სნოში (2014 წლის რეგიონული ფონდის დაფინანსებით 112 ათასი ლარი);

2015 წელს – დასრულდა სოფელ სიონის ბაგა-ბაღის მშენებლობა (138 289.59 ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი);

2017-2018 წლებში – აშენდა საბავშვო ბაღი სოფელ ყანობში (195 ათასი ლარი) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ აჩხოტის საბავშვო ბაღს (64 ათასი ლარი); დასრულდა საბავშვო ბაღის მშენებლობა დაბა გუდაურში (836 448 ლარი);

2019 წელს – გაიხსნა სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრის სოფელ ყანობის ფილიალი (გადამზადდნენ ექთნები, მზარეულები და ტექნიკური პერსონალი).

2020 წელს – ცენტრის გუდაურის ფილიალის საბავშვო ბაღი აღიჭურვა ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ნივთითა და ინვენტარით, გადამზადდა აღმზრდელობითი მიმართულების კადრი. **2021 წელს** გუდაურის ფილიალმა ფუნქციონირება დაიწყო. **მიმდინარეობს** სიონის საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება (სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 131-დან 216-მდე გაიზარდა. 1,6-დან 2,45 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამა მოქმედებს **2** ჯგუფში, პროგრამაში ჩართულია 57 ბავშვი და **1** აღმზრდელ-პედაგოგი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 18 აღმზრდელ-პედაგოგი, 31 აღმზრდელი. ექიმი ემსახურება ყველა საბავშვო ბაღს. ყველა ფილიალს ემსახურება ცენტრის ფსიქოლოგი.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლა, სადაც 402 მოსწავლე და 113 მასწავლებელია (მათგან 2 სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 2 სსსმ მოსწავლე.

ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში: 2017-2021 წლებში, **„საზაფხულო სკოლების** პროგრამით საზაფხულო სკოლებში მონაწილეობდა 14 მოსწავლე; **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების** ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდა 1 ოქროსა და 9 ვერცხლის მედალოსანი; საჯარო **სკოლის ტრანსპორტით** უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართულია 2 საჯარო სკოლის (4 მიმართულება) 31 მოსწავლე; მოსწავლეთა უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 11 403 **სახელმძღვანელო, რვეული** და 260 **სასკოლო ჟურნალი** უსასყიდლოდ დარიგდა. 2017-2019 წლებში **ეროვნულ ოლიმპიადებში** მონაწილეობდა 96 მოსწავლე. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 99 პირველკლასელს, 18 დამრიგებელსა და 2 წარჩინებულ მოსწავლეს. **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით დაფინანსდა 14 პროექტი. **მთის სტატუსის მქონე 30 საპილოტე სკოლის** 60-მა წარმომადგენელმა 7-დღიანი ტრენინგი გაიარა პროექტების მართვის უნარებში; ყაზბეგის ყველა საჯარო სკოლის VII-X კლასის მოსწავლეებისთვის მუნიციპალიტეტის დონეზე ორგანიზებული იყო არაფორმალური განათლების წრეებში მუშაობა მათემატიკის, წიგნიერებისა და ხელოვნების მიმართულებებით (ჩართული იყო 51 მოსწავლე, 11 მასწავლებელი, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ ტრანსპორტირებითა და კვებით). **ინტელექტ-ჩემპიონატებში** მონაწილეობდა 208; **სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში** – 219; მოსწავლის **წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და ტექნოლოგიების სასწავლო** პროცესში ინტეგრირების სისტემები დანერგილია 2 სკოლაში; **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 6 საჯარო სკოლა; **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის** სიჩქარით უზრუნველსაყოფად განხორციელდა 12 პროექტი; კორპორატიული სტანდარტის **უსადენო ქსელით** აღჭურვილია 2 სკოლა; **ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში** დაბა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლას გადაეცა 10 ლეპტოპი. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2013-2021 წლებში, განხორციელდა საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 17 პროექტი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 საჯარო სკოლას; მათ შორის, 2013 წელს – ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას (არშის, სტეფანწმინდისა და გუდაურის), რაც სულ 278 ათასი ლარით დაფინანსდა; **2014 წელს** განხორციელდა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (6,8 ათასი ლარი); **2015 წელს** სტეფანწმინდის №1 და სიონის სკოლებში მოეწყო სამედიცინო ოთახები, ჩატარდა სნოს სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (სულ 48,8 ათასი ლარი); **2016 წელს** განხორციელდა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (18, 7 ათასი ლარი) და სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ფილიალის სრული რეაბილიტაცია (184,4 ათასი ლარი). **2017 წელს** – სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის“ სტეფანწმინის №1 საჯარო სკოლიდან გამოიყო დამატებით სასწავლო ფართი და გარემონტდა (147,5 ათასი ლარი); რეაბილიტირდა შენობის ფასადი და გათბობის სისტემა (95,1 ათასი ლარი); ასევე, ჩატარდა სნოს საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, არშის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი; სრულად რეაბილიტირდა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლა **(1 მლნ 400 ათასი** ლარი); აშენდა სტეფანწმინდის (შერწყმული გერგეტის დაწყებითი სკოლა) მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა (440,3 ათასი ლარი). განხორციელდა კოლეჯის ყაზბეგის ფილიალის ოპტიკური კაბელის ინსტალაცია (2 ათასი ლარი) და გაზიფიცირება (2,3 ათასი ლარი); **2018 წელს** განხორციელდა სოფელ არშისა (50 ათასი ლარი) და გორისციხის (50 ათასი ლარი) საჯარო სკოლის თბოიზოლაციის სამუშაოები; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლას, ამასთან, სკოლის ელექტროენერგიის სიმძლავრის გასაზრდელად დაიხარჯა 6,6 ათასი ლარი; **აშენდა** დაბა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლა (შერწყმული გერგეტის დაწყებითი სკოლა); **2019 წელს** განხორციელდა სოფელ სნოს, სიონის, ყანობის, გორისციხის, გარბანის (დაწყებითი) საჯარო სკოლების გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (11,4 ათასი ლარი);

მიმდინარეობს ტენდერი არშის, სიონის, გარბანის, სნოს, გუდაურის, გორისციხის, ყანობის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია-MCC მოვლა-პატრონობის პროგრამით. **მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 ადაპტირებული საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფილია 7 საჯარო სკოლა.**

დასრულდა დაბა სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი – 364,4 ათასი ლარი (2019 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამიდან დაფინანსდა პირველი ეტაპი – 162,3 ათასი ლარი, 2020 წლის პროგრამიდან მეორე – 364,4 ათასი ლარი);

დასრულდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გორისციხისა და არშის სკოლების შენობებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერებისთვის მშენებლობა (ჯამურად 697,1 ათასი ლარი).

პროფესიული განათლება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (დაბა გუდაური) მდებარეობს ა(ა)იპ კოლეჯი „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ფილიალი.

ა(ა)იპ **კოლეჯი „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“** 2016 წელს დაფუძნდა და ახორციელებს 4 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: საფეხმავლო გამყოლი და სამთო გამყოლი. კოლეჯმა, სამთო გამყოლთა ასოციაციასთან ერთად, შეიმუშავა სათავგადასავლო ტურიზმის სფეროს ჩარჩოდოკუმენტი და პროფესიული მოდულები. **კოლეჯი 2 მოდულურ და 2 დუალურ პროგრამას ახორციელებს.** 2020 წელს ტურიზმის სკოლაში ჩაირიცხა 30 სტუდენტი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესიულ პროგრამებში ჩართული იყო 63 სტუდენტი; **2020 წელს პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით**, მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ დაფინანსდა 381 ათასი ლარით.

2019 წელს სკოლებში **პროფესიული უნარების დანერგვის** მიზნით, მუნიციპალიტეტის სკოლებში განხორციელდა **4 პროექტი;** 2020 წელს პანდემიის გამო აღნიშნული პროგრამები ვერ განხორციელდა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (დაბა სტეფანწმინდა) 2017 წელს ასევე დაფუძნდა სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ფილიალი. კოლეჯში ხორციელდება პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები: ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტრობა, ვეტერინარია, თმის მომსახურება, ინფორმაციის ტექნოლოგია, კულინარიის ხელოვნება, მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, რძის პროდუქტების წარმოება, სამკერვალო წარმოება, სასტუმრო მომსახურება, სატყეო საქმე, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, ხის მხატვრული დამუშავება.

2020 წელს პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად **ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი დაფინანსდა (ჯამურად) – 1,6 მლნ ლარით.**

2020 წელს ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ყაზბეგის ფილიალში 20 სტუდენტი ჩაირიცხა. საგანმანათლებლო დაწესებულებათა **პროფესიულ პროგრამებში** ჩართული იყო 49 სტუდენტი; **საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების** კურსი დაასრულა 6-მა სტუდენტმა.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, 2017 წელს, დაბა სტეფანწმინდაში, დასრულდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ფილიალის რეაბილიტაცია, რაზეც 147,5 ათასი ლარი დაიხარჯა.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, **პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 3 პროგრამა** ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამით დაფინანსება მოიცავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის** (დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 14 სტუდენტი. 2019-2020 ს/წელს – 14, 2020-2021 ს/წელს – 14. 2020-2021 ს/წელს – 14.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის განხორციელდება საბავშვო ბაღის მშენებლობა გორისციხეში; იგეგმება სოფელ არშისა და დაბა სტეფანწმინდის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ყაზბეგში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: დაგეგმილია სოფ. არშისა და გორისციხის საჯარო სკოლის შენობების თბოიზოლაცია (100 ათასი ლარი);
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, სტეფანწმინდის კულტურის სახლი, სიონის კულტურის სახლი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელთანაც ფუნქციონირებს ბავშვთა ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და ხალხურ საკრავთა ანსამბლები, ცენტრალური ბიბლიოთეკა, სიონისა და გარბნის ბიბლიოთეკები.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიის მუზეუმი. ქალთა ანსამბლი „დიდებაი“, ვაჟთა ანსამბლი „ერობა“, ბავშვთა ანსამბლი „ენძელები“ და სიონის ხალხურ საკრავებზე შემსრულებელ ბავშვთა ანსამბლი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 81,4 ათასი ლარით განისაზღვრა, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა **982,5 ათასი** ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში**. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდებოდა სახალხო დღესასწაული „ყაზბეგობა“, საშობაო და საახალწლო ღონისძიებები, ქალთა დღის, დედის დღის, 9 აპრილის, 26 მაისისა და სხვა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, იმართებოდა შემოქმედებითი და ლიტერატურული საღამოები. მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები წარმატებით მონაწილეობდნენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა კონკურსსა და ღონისძიებაში.

2019-2020 წლებში აღდგა და განახლდა ყაზბეგის ცენტრალური ბიბლიოთეკის, კარკუჩის, გორისციხის, სნოსა და სიონის ბიბლიოთეკების წიგნების ფონდი. ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი და სხვა შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები. მათ შორის, წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, ღია ცის ქვეშ წიგნების გამოფენა;

ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონის, რესპუბლიკისა და საერთაშორისო დონის სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მასშტაბით, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„პრეისტორიული კლდის მხატვრობის მარშრუტი საქართველოში“** (25 300 ლარი).

ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე გადის სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი **„ალ. დიუმას კვალდაკვალ“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებას.

2020 წელს სამინისტროს ხელშეწყობით, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – **თრუსოს ხეობაში – განხორციელდება პროექტი „მოხეური მივიწყებული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზება“.**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები/ღონისძიებები განხორციელდა: ალ. ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის ტოპოგრაფიული აზომვები – ყაზბეგი, ბოლნისი (1,2 ათასი ლარი); სტეფანწმინდის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის სახურავისა და სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (15,8 ათასი ლარი); მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში დაცული კოლექციების შეწამვლა-დამუშავება – სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში დაცული კოლექციების შეწამვლა (სულ – 2, 8 ათასი ლარი); სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმისთვის ტრიპლეტის მომზადება-ბეჭდვა (620 ლარი); სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები (სულ – 7, 8 ათასი ლარი).

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი. 2017 წელს დაიწყო და მიმდინარეობს მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია.

2015-2021 წლებში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში – გარემონტდა სტეფანწმინდის ბიბლიოთეკა (9 ათასი ლარი). მომზადდა სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების საპროექტო დოკუმენტაცია;

2018 წელს – დასრულდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის მშენებლობა – 1 მლნ 241,7 ათასი ლარი; კულტურის სახლის ინვენტარისთვის დაიხარჯა 90 ათასი ლარი; განხორციელდა, აგრეთვე სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; სოფელ სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის კუთხის გამაგრების პროექტი; სოფელ ფხელშის ეკლესიის რეკონსტრუქციის პროექტი.

2019 წელს – განხორციელდა სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, ალ. ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის კორექტირებული პროექტი; სოფელ სიონში, ხევის სიონის საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; ხევის სიონის ეკლესიის საყრდენი კედლის გადაუდებელი რეაბილიტაცია.

2020 წელს – სოფელ სიონში II ეტაპის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სიონის ეკლესიას (100 ათასი ლარი);

2021 წელს – ყაზბეგის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელდა პროექტი „ოფენ ბიბლიო“ (600 ლარი); ანსამბლ „ერობისა“ და „დიდებაის“ მონაწილეობით განხორციელდა პროექტები, რომელთა მიზანიც იყო მოხევური ძველი ფოლკლორული სიმღერების სინქრონიზაცია და დისკზე აღბეჭდვა (ჯამურად 7 ათასი ლარი); განხორციელდა გორისციხის ყოფილი კულტურის სახლის რეაბილიტაცია (100 ათასი ლარი), რეგიონული ფონდიდან დაფინანსადა სტეფანწმინდის კულტურის სახლის მშენებლობა (1,2 მლნ ათასი ლარი); ნაწილობრივ დასრულებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა აღწერა; სტეფანწმინდაში მიმდინარეობს ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სტეფანწმინდის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია (1 მლნ 549 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი, „მსოფლიო ბანკი“).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კომპლექსური სასპორტო სკოლა, 6 სტადიონი და 4 სპორტული დარბაზი.

პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: მეკლდეურობა, ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი და სამთო-სათხილამურო სპორტი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები **235 ათასი** ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 61 ათასი ლარი იყო.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები: მუნიციპალიტეტს ჰყავს საქართველოს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და მეკლდეურობაში.

მუნიციპალიტეტში შეიქმნა რაგბის კლუბი „ყაზბეგი“, რომელმაც მოკლე დროში მიაღწია წარმატებას და დღეისთვის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს.

გარდა ამისა, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელი ადგილობრივი ახალგაზრდა სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“.

2018 – 2019 წლებში მუნიციპალიტეტში გაიმართა: საქართველოს თასის გათამაშება „სლოუფ სთაილში“; საქართველოს თასის გათამაშება ბიგ ეარში; საქართველოს თასის გათამაშება სამთო-თხილამურებში; **2020 წელს –** საქართველოს თასის გათამაშება „სლოუფ სთაილში“; საქართველოს თასის გათამაშება ბიგ ეარში; ევროპის თასი სნოუბორდის პარალელურ გიგანტსა და პარალელურ სლალომში; საქართველოს თასის გათამაშება სამთო-თხილამურებში.

2015 – 2021 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი: აშენდა სოფელ სნოს სპორტული დარბაზი (55,4 ათასი ლარი). 2016 წელს მინი საფეხბურთო მოედანი აშენდა სოფელ ყანობში (14 ათასი ლარი, პროექტი „ევროპის საინვესტიციო ბანკმა“ დააფინანსა). დაბა სტეფანწმინდასა და სოფელ სიონში აშენდა მინი საფეხბურთო მოედნები (20 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ სნოს სპორტულ დარბაზს – 38,7 ათასი ლარი; დაბა სტეფანწმინდაში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, აშენდა ახალი სპორტული კომპლექსი – 1 მლნ 500 ათასი ლარი; **მიმდინარეობს** სოფელ გარბანის, ფანსეტის, აჩხოტის, ახალციხისა და კარკუჩის სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტირება (რეგიონული განვითარების ფონდი);

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 17 შიდაჩემპიონატი (210 ათასი ლარი) და 4 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (11,6 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,4 ათასი ლარი). ასევე სამინისტრომ ამავე პერიოდში, შეიძინა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი (13 ათასი ლარი), 2019 წელი – 12 ათასი ლარის ინვენტარი, ხოლო 2020 წელს – ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებული **5 მწვრთნელი** იღებს ფულად დანამატს. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებებით მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „სიონში არსებული კულტურულ-ახალგაზრდული სახლის რეაბილიტაცია“, „სნოს ხეობის გამოყენებითი ხელოვნების ახალგაზრდული ცენტრი“, „ბოლდერინგის განვითარება ყაბეგის რაიონში“, „საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: სამხრეთ კავკასიის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები“, „მთამსვლელობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“, „სპორტული თვე ყაზბეგის რაიონში“, „სოციალური საწარმო – სნოველი“, „სნოს ახალგაზრდული კემპინგ-ცენტრი“, „მეკლდეურობის განვითარება ყაზბეგის რაიონში“, სულ დაიხარჯა 112,0 ათასი ლარი. ამ პროექტების მიზნები იყო: სიონში კულტურის სახლის რეაბილიტაცია; სახელოსნოს შექმნა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეისწავლიდნენ ხეზე კვეთას, ქვის მხატვრულ დამუშავებას და ხაზვას; ბუნებრივი ბოლდერინგის განვითარება და მისი, როგორც ექსტრემალური ტურისტული მარშრუტის, შექმნა და პოპულარიზაცია; კონფერენციის ჩატარება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ თემებზე; მთამსვლელთა კლუბის შექმნა; სპორტული ტურნირების ჩატარება; სნოში სამხატვრო სახელოსნოს ბაზაზე სოციალური საწარმოს შექმნა; კემპინგის ტიპის ტურისტული ცენტრის შექმნა; არშაში საცოცად ვარგისი კლდეების გაწმენდა და მარშრუტების მომზადება.

2017 წლიდან, ფონდის მხარდაჭერით, ა(ა)იპ „ყაზბეგის განვითარების ჯგუფი – ყაზბეგის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ ახორციელებს პროექტს „ყაზბეგის ახალგაზრდული მეწარმეობის სკოლა“ (ღირებულება – 19,2 ათასი ლარი). პროექტი მიზნად ისახავს ყაზბეგში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო კურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას, თვითდასაქმებას და ამასთანავე წვლილს შეიტანს ახალგაზრდების მიგრაციის შემცირებაში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება მეწარმეობის სასწავლო ცენტრი, რომელიც ახალგაზრდებს შესთავაზებს სასწავლო კურსებს: მეწარმეობის პრინციპები (ბაზრის კვლევა, ბიზნეს-გეგმის შედგენა, საკანონმდებლო ბაზა ეკონომიკური საქმიანობისთვის); საბუღალტრო საქმის ზოგადი პრინციპები; პირველადი წარმოება და ბაზრის შესწავლა სოფლის მეურნეობის სფეროში; ტურისტული მომსახურებები და კერძოდ სასტუმრო სახლის მართვის კურსი.

2018 წელს განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრში შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა პროექტში.

2020 წელს ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით ყაზბეგში 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით. აქედან 1 მათგანის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია: საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან – ამაღლებამდე“ – ქართული საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაცია და ახალგაზრდების კლასიკური მუსიკით დაინტერესების ხელშეწყობა, მათ შორის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (სულ – 50 ათასი ლარი); სამუზეუმო კოლექციათა რესტავრაცია-კონსერვაცია – მცხეთის, სტეფანწმინდისა და ბორჯომის მუზეუმების ექსპოზიციათა მომზადება-განახლებისთვის კოლექციათა მოწესრიგება (სულ – 100 ათასი ლარი); კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია – საქართველოს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში (მათ შორის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტში) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა აღწერა, დოკუმენტირება და მონაცემთა ბაზის შევსება (სულ – 25 ათასი ლარი); მამაწმინდის ნაეკლესიარის რესტავრაცია – ნაეკლესიარის სრული აღდგენა; „ცოცხალი წიგნები“ – ბიბლიოთეკებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მათ შორის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის) თანამედროვე მწერლებისა და ხელოვანთა მობილური ჯგუფების შესვლა (სულ – 125 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:
- დაგეგმილია მინი სპორტული მოედნების მშენებლობა გერგეტის უბანსა და სოფელ გარბანში (20 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა, თქვენ წინაშე წარვდგე, როგორც ყაზბეგის მერობის კანდიდატი.

მოგეხსენებათ, 2012 წლიდან – დღემდე, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ეტაპობრივად უმჯობესდება ტურისტული, საგანმანათლებლო, წყალმომარაგების, საგზაო თუ სხვა ტიპის ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშესაწყობად კი სოციალური პროგრამები ხორციელდება.

მე და ჩემი გუნდი აუცილებლად განვაგრძობთ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განვითარებას იმ ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით, როგორიცაა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარება, განათლების, კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. გააზრებული მაქვს ის საჭიროებები, რაც თითოეულ სოფელსა თუ მოსახლეს აქვს. სწორედ მოსახლეობის ჩართულობით შევძლებთ, გადავლახოთ ნებისმიერი დაბრკოლება და ვიცხოვროთ განვითარებულ ყაზბეგში, რომელიც საუკეთესო ადგილი იქნება როგორც საცხოვრებლად, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, აქტიურ პრობლემად რჩება დაბა სტეფანწმინდისა და გერგეტის უბნის წყალმომარაგების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც დაწყებულია შესაბამისი საპროექტო სამუშაოები და უახლოეს მომავალში, უწყებათა თანამშრომლობით, ეს პრობლემაც აუცილებლად მოგვარდება.

2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს! მჯერა, ერთად ნებისმიერ გამოწვევას გავუმკლავდებით!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.